ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 104

"23" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა 2014 წლის 19 სექტემბერს N05-1/14262584 წერილით (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგ. N04/12518) მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი ოვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების ძალაში შესვლის დღიდან.
2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

დანართი

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა

N	*თანამდებობათა დასახელება*	*რაოდენობა*
		6
1	სამსახურის უფროსი	1
2	სამსახურის უფროსის მოადგილე	2
3	წამყვანი სპეციალისტი	1
4	მთავარი სპეციალისტი	1
5	მძღოლი	1
	ანალიზისა და დაგეგმვის განყოფილება	***4***
6	განყოფილების უფროსი	1
7	მთავარი სპეციალისტი	1
8	წამყვანი სპეციალისტი	1
9	სპეციალისტი	1
	განათლების პროგრამების განყოფილება	**6**
10	განყოფილების უფროსი	1
11	მთავარი სპეციალისტი	3
12	წამყვანი სპეციალისტი	1
13	სპეციალისტი	1
	სპორტის პროგრამების განყოფილება	**3**
14	განყოფილების უფროსი	1
15	მთავარი სპეციალისტი	1
16	წამყვანი სპეციალისტი	1
	ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამების განყოფილება	**3**
17	განყოფილების უფროსი	1
18	მთავარი სპეციალისტი	1
19	წამყვანი სპეციალისტი	1
	მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება	**4**
20	განყოფილების უფროსი	1
21	მთავარი სპეციალისტი	1
22	წამყვანი სპეციალისტი	1
23	სპეციალისტი	1
	სულ მომუშავეთა რაოდენობა	**26**